პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

ხუთშაბათი, 29 მაისი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი არმიელი

№ 510 ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელს. 85.
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც' ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე.

## მიბაძეთ საკავშირო ასეულის კომუჯ-რედს.

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება საკავშირო ასეულის კომუჯრედის სხდომის მოკლე ანგარიში, რომელიც მეტის მეტად საგულისხმოა. სახეში გვაქვს კომუჯრედის დადგენილება, უდიერ სიტყვების წინაალმდეგ ბრძოლის შესახებ და ამ მიზნით მეთვალყურე კომისიის არჩევა.

პირველ შეხედვაზე წვრილმან ფაქტს, მაგრამ ჩვენი წითელი ჯარისათვის დიდ მნიშვნელოვანს, უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

ჩვენი წითელ ჯარის რიგებში დღემდის აქვს ადგილი უშვერ, უდიერი სიტყვების ხმარებას.

ეს სამარცხვინო მოვლენა არისძველი, მეფის არმიის ნაანდერძევი ჩვეულება. გინება, ლანძღვა, უტიფარი სიტყვები—ყოველივე ეს მონობის, ზნე დაცემულობის პირმშო შვილია. წითელ ჯარში, რომელიც იცავს რევოლიუციის მონაპოვარს, თავისუფლებას და ებრძვის ძველ დახავსებულ ჩაგვრის ქვეყანას, ყოვლად დაუშვებელია და სამარცხვინოა ადგილი ქონდეს ასეთ საზიზღარ მოვლენას.

ჩვენ სასტიკი ომი უნდა გამოუცხადოთ ამ ცუდ ზნეს.

და ამ საქმეში მხურვალე, ენერგიული მონაწილეობა უნდა მიიღონ როგორც უფ პოლიტ-შემადგენლობამ ისე თვით წითელ-არმიელებმა უმთავრესად.

საკავშირო ასეულის დადგენილებას ჩვენ დიდი სიხარულით ავღნიშნავთ. სასიხარულოა ის მით უფრო, რომ თაოსნობა უშვერი სიტყვების წინააღმდეგ ბრძოლისა აიღო თავის თავზე კომუჯრედმა.

საჭიროა რომ საკავშირო ასეულის მაგალითს მიბაძონ დანარჩენმა ნაწილებმა და მათი კომუჯრედებმა.

დროა ძირ-ბუდიანათ ამოვფხრათ ჩვენი რიგებიდან ბოროტება.

მით უმეტეს დროულია ამ საქმის დაწყება არსებულ მომენტში, როდესაც ჩვენი წითელი ჯარის რიგებს ევლინებიან ახალი ძალები, რომელთა შორის ამ ცუდ ზნეს საკმაოდ აქვს ფეხი გადგმული.

ცხადია, ერთი ხელის დაკვრით მას ვერ მოვსპობთ. საჭიროა სისტემატიური დაუძინებელი ბრძოლა გინების წინააღმდეგ.

ეს ჩვენი ერთ ერთ დამკვრელ ამოცანათაგანია, რომელიც ჩვენ ღირსეულად უნდა შევასრულოთ.

**გაუმარჯოს წითელ ჯარს—საერთაშორისო იმპერიალიზმის თავზარ დამცემს, მეგობარს და დამცველს მშრომელ ხალხისას!**

## ლენინის არქივის გადმოტანა ვარშავიდან.

მოსკოვში მყოფ პოლონეთის ელჩმა დაროვსკიმ გადასცა საგარეო ვაჭრობის კომისარიატის კოლეგიის წევრს, ამხ. განეცკის ვარშავიდან მიღებული ლენინის არქივი. არქივი შესდგება მთელ რიგ წერილებისა და მასალებისაგან.

როსტას თანამშრომელთან საუბარში ამხ. განეცკიმ აღნიშნა, რომ არქივის გადმოცემას დააგვიანდა თვე-ნახევარი, ვითომდა სხვა და სხვა ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო. ნამდვილად კი, დაგვიანება გამოიწვია სეიმის დაკითხვის შიშმა პეპეესოველთა მხრივ, რომლებსაც სურდათ კომპენსაციის აღება არქივის გადმოცემაში.

არქივი გადაეცა ლენინის ინსტიტუტის დირექტორს ამხ. კამენევს. მაგრამ გადმოცემულ მასალებში არ არის პარონინში ავსტრიის ხელისუფლების მიერ წაღებულ ლენინის წიგნები, ზინოვიევის წიგნები, მიმოწერები და სხვა, რაიც იმყოფებოდა ამხ. განეცკის ბინაზე. ამას გარდა არ არის პარტიის ცეკას საყურადღებო საბუთები, რომლებიც მიბარებული ჰქონდა განეცკის ამხ. ლენინის მიერ შესანახად. სულ პოლონეთის ჟანდარმერიის ხელში გადავიდა ათასამდე კილო.

ამხ. განეცკიმ აღნიშნა საერთოდ დაკარგულ წიგნების და საბუთების დიდი რაოდენობა. დაროვსკიმ აღუთქვა, რომ ის მოძებნის და ჩააბარებს რაც აკლია.

**ამიერ-კავკასიის მუშებო და გლეხებო, დაიცავით თქვენი მონაპოვარნი. ბაქოს ნავთი და ჭიათურის შავი ქვა—ეს გემრიელი ლუკმაა საერთაშორისო მტაცებლურ კაპიტალისთვის,**

## საბჭოთა კავშირში.

### ფართე მასების ჩაბმა ქიმიის მეგობართა საზოგადოების მუშაობაში.

ქიმიის მეგობართა საზოგადოება უკვე შეუდგა მუშაობას სსრკ-ს მოსახლეობის ფართე მასების მისაზიდად საზოგადოების წევრებად.

პროფესურა აქტიურ მონაწილეობას იღებს ადგილებში ქიმიის მეგობართა საზოგადოების უჯრედების შექმნაში. სამხედრო სასწავლებელთა მთელი რიგი სცდილობს შემოიღოს სამხედრო ქიმიური დისციპლინა სამოსწავლო გეგმაში.

### ახალგაზრდა კომკავშირის რიგების გადასინჯვა.

რუსეთის ახკომკავშირის ცეკა წინადადებას აძლევს ადგილების ორგანიზაციებს გამოჰყონ სამხედრო სასწავლებლების გამსინჯავთ კომისიის შემადგენლობა, რომელშიაც უნდა შედიოდენ ორგანიზაციების ერდგული და პასუხისმგებელი მომუშავენი. გასინჯვის დროს ცეკა ურჩევს გამორიცხონ სუსტად მომზადებულები და ჩამორჩენილები, რომლის დროსაც უნდა იხელმძღვანელონ ახკომკავშირის უჯრედების აზრით.

### წყალდიდობა ლადოგის ტბაზე.

ლადოგის ტბაზე წყალი თან და თან მატულობს. ვალაამის კუნძული დაფარულია წყლით, რომელიც აღწევს მონასტრის კედლებამდე. წყლის სიმაღლე აღწევს 7 ფუტამდე; 60 წელია რაც ტბას ასეთი სიმაღლე არ ჰქონია.

## გერმანიაში ახალი მთავრობის შედგენის წინ.

### გერგტი კანდიდატია კანცლერის თანამდებობაზე.

მარქსის კაბინეტის გადადგომას მოელოდენ ორშაბათს, ეჭვი არ არის რომ შედგენილ იქნება ბურჟუაზიული კოალიცია. მარქსის გადადგომის შემდეგ ებერტი წინადადებას მისცემს გერგტს, როგორც მსხვილი პარტიის ბელადს, შეადგინოს მთავრობა. თუ რომ ნაციონალისტები ვერ მიიღებენ პარლამენტში უმრავლესობას, მაშინ მთავრობის შედგენა მიენდობა შერეულ პარტიებს, რომლებიც იმყოფებიან დღეს ძალა-უფლებასთან.

დემოკრატებისა და ცენტრის აზრით გერგტისადმი მიმართვა ატარებს ფორმალურ ხასიათს. სახალხო პარტია ფიქრობს, რომ გერგტი შეეცდება შეჰკრიბოს საჭირო უმრავლესობა პარლამენტში.

იმ შემთხვევაში, თუ შესდგება მარქსის ახალი მთავრობა, მისი კაბინეტის მემარჯვენე წევრები—იარესი, ლიუტერი და კანიცი გადადგებიან.

### უშედეგო თათბირი.

ორშაბათ საღამოს ნაციონალისტებსა და ცენტრის პარტიის წარმომადგენელთა შორის უშედეგო თათბირის შემდეგ, მარქსის მთავრობა გადადგა.

პრეზიდენტ ებერტმა დაავალა მარქსს განაგრძოს საქმის მართვა ახალი მთავრობის შედგენამდი. პარლამენტარულ წრეებში ფიქრობენ, რომ ახალ კაბინეტში მარქსი დაიკავებს პრემიერ-მინისტრის ადგილს.

### მარქს-შტრეზემანი.

გერმანიის გაზეთების აზრით პრეზიდენტ ებერტი მიანდობს ახალი კაბინეტის შედგენას ნაციონალისტ გერგტს. პრესას ეჭვი შესდის, რომ ის ვერ შესძლებს ახალი კაბინეტის შედგენას.

გაზეთები ფიქრობენ, რომ ბოლოს და ბოლოს შესაძლებელია განხორციელდეს ძველი კომბინაცია მარქს-შტრეზემანი.

### მარქსის და ებერტის თათბირი.

სამშაბათს პრეზიდენტ ებერტს ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა რეიხსტაგის ცალკე პარტიების ლიდერებთან. ებერტმა გამოიწვია თავისთან ყოფილი კანცლერი მარქსი, რომელიც, როგორც სჩანს ფიქრობს კიდევ დაუახლოვდეს გერმანიის ნაციონალისტებს და შემდეგ კი, თუ ამ ნაბიჯში დამარცხდება, წარუდგება რეიხსტაგს ცოტათი შეცვლილ კაბინეტით.

### რეიხსტაგის გახსნა.

სამშაბათს უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარემ, დეპუტატ-სოციალისტმა ბოკმა გახსნა ახალი რეიხსტაგის სესია. სხდომა, რომელზედაც ირჩეოდა რეიხსტაგის კონსტრუქციის საკითხი, ჩატარდა კომუნისტების დიდი ხმაურობის ქვეშ.

ხმაურობა გამოიწვია კომუნისტების შეკითხვამ პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლების შესახებ, რომლებიც დაჭერილ იქნენ პრეზიდიუმის არჩევნებამდი.

### უკიდურეს მემარჯვენეთა წინადადება.

რეიხსტაგის უკიდურესმა მემარჯვენე ფრაქციამ მიიღო წინადადება, რომელშიაც გამოთქმულია უნდობლობა მთავრობისადმი და მოითხოვს ახალი პრეზიდენტის არჩევას და გერმანიიდან ებრაელების განდევნას, რომლებიც ჩასახლებული არიან 1914 წლიდან.

## მდგომარეობა რურში.

### პრუსიის ლანდტაგი კონფლიქტის შესახებ.

27 მაისს პრუსიის ლანდტაგში ირჩეოდა საკითხი მემაღაროეთა კონფლიქტის შესახებ რურში. პრუსიის ვაჭრობის მინისტრმა განაცხადა, რომ მიკუმთან შეთანხმება წარმოადგენს კონფლიქტის უმთავრეს მიზეზს რურის მემაღაროეთა და მაღაროს პატრონებს შორის.

## ინგლის-საბჭოთა კონფერენცია.

28 მაისს ინგლის-საბჭოთა კონფერენციის პლენარულ სხდომაზე კვლავ ირჩეოდა საკითხი პრეტენზიების შესახებ.

### საკითხი ძველი ვალების შესახებ.

საბჭოთა დელეგაციამ შეკითხვა შეიტანა: მისაღებია თუ არა ბრიტანეთის დელეგაციისათვის საბჭოთა დელეგაციის მიერ შეტანილი განცხადება, რომ საბჭოთა მთავრობა არ იქნება თანახმა ომამდე არსებულ ვალების გადახდისა.

ბრიტანეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ ეს ვანცხადება მიუღებელია.

საბჭოთა დელეგაციამ განაცხადა, რომ თუ ბრიტანეთის მთავრობა ეცდება იმას, რომ რუსეთს აზღვევინოს ომამდე არსებული ვალები, იმ შემთხვევაში ეს ფაქტი ისეთ მნიშვნელობას მიიღებს რომ საჭირო გახდება, სანამ წინ წავიდოდეთ, მივაღწიოთ შეთანხმებას ამ მუხლში.

ბრიტანეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ამ ვალების მოთხოვნა იმას კი არ გულისხმობს, რომ ეს ვალები გადახდილ უნდა იქნას სრულიად და საჩქაროდ.

საბჭ. დელეგაციამ სთხოვა შეატყობინონ, თუ როგორ და რაოდენობაში სთვლიან საბჭოთა მთავრობას ვალდებულად ამ ვალებში.

## ᲙᲔᲠᲫᲝ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲖᲘᲔᲑᲘ.

პრეტენზიებს კერძო საკუთრების შესახებ საბჭოთა დელეგაცია ჰყოფს ორ ჯგუფად: 1) ფულის პრეტენზიები, 2) ჩამორთმეული კ. საკუთრება. საბჭოთა დელეგაციის განცხადებით, საკითხი ფულის პრეტენზიების შესახებ რთულია. ასეთია იმ ბანკების საკითხი, რომელთა ნაციონალიზაცია მოხდა. ბევრ შემთხვევაში ამ ბანკების აქტივით ისარგებლეს ყოფილ მესაკუთრეებმა ახალი ორგანიზაციის და დაწესებულებების დაარსების დროს საზღვარ გარეთ.

ამ შემთხვევაში უკანონო იქნებოდა აელო საბჭოთას მთავრობა სათანადო ვალდებულებანი. ასეთი აზრივე იბადება კერძო პირთა პრეტენზიების განხილვის დროს კერძო საკუთრების შესახებ.

ამის გამო საბჭოთა კონფერენციას შემოაქვს შემდეგი წინადადება: ,,ორივე მთავრობა ადგენს საფუძვლიანად განხილულ და ცნობილ წვრილ პრეტენზიებს, ადგენს მაქსიმალურ ჯამს, რომელიც უნდა მიეზღოს ყოველ პრეტენზიების ცალკე ჯგუფს. ამ საკითხში შეთანხმებასთან ერთად იცვლება 1921 წელში დადებულ სავაჭრო ხელშეკრულების მე-10 მუხლი და ენიჭება ძალა საბჭოთა მთავრობის კერძო საკუთრების უფლებას დიდ ბრიტანეთში".

ბრიტანეთის დელეგაციამ აღუთქვა რომ კარგად გადასინჯავენ ამ წინადადების სქემას. და თან შეეკითხა: იქნება თუ არა მიღებული წვრილი პრეტენზიები? საბჭოთა დელეგაციამ დადებითად უპასუხა და გამოსთქვა სურვილი, რათა ამ პრეტენზიების რაოდენობა შეთანხმებულიყოს ორივე მთავრობის მიერ.

## ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ბრიტანეთის დელეგაცია დასთანხმდა იმ საკითხს, რომ საბჭოთა დელეგაციის განცხადება ომამდე არსებულ ვალებზე, კერძო მესაკუთრეებისა და სხვა საკითხების შესახებ განხილულ უნდა იქნას დიდის სიფრთხილით. ბრიტანეთის დელეგაცია მხედველობაში მიიღებს საბჭოთა მთავრობის ეკონომიურ დაბ. კ.

მაგრამ ბრიტანეთის დელეგაცია ფიქრობს უპასუხოს საბჭოთა დელეგაციის წინადადებებს კონტრ-წინადადებით, როგორც რედაქცია იქნება ისეთივე, როგორც საგარეო ხელშეკრულების ტექსტში.

კონტრ წინადადებების გარჩობის დროს საბჭოთა დელეგაციამ უნდა მიიღოს მხედველობაში, რომ ბრიტანეთის მთავრობა არ სდგას შეუძლებელ პოზიციაზე და მზად არის ისეთი ყოველგვარი მოლაპარაკება, ლაპარაკი იმისა ...

## ᲑᲠᲘᲢ. ᲛᲗᲐᲕᲠ. ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲐᲓᲐ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲡᲡᲠᲙ-ᲡᲐᲓᲛᲘ

მიიღო თუ არა ძალაუფლება დელეგაციამ ბრიტანეთის მთავრობამ გამოიჩინა თავისი კეთილი განწყობილება საბჭოთა კავშირის მიმართ და იცნო ის. ეს კეთილი განწყობილება დღესაც არსებობს. ბრიტანეთის მთავრობას გულწრფელად სურს საქმეთა გადაჭრა ყველა სადაო საკითხის.

ბრიტანეთის დელეგაცია იმედს გამოსთქვამს, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიურად აღორძინების საკითხი და ქვეყნის უზარ-მაზარი სიმდიდრე მიღებულ იქნება მხედველობაში წინადადებების განხილვის დროს.

ბრიტანეთის მთავრობა ფიქრობს რომ ეკონომიური შეთანხმება უახლოვდება საბოლოოდ, ვინემ ეს 5 თვის წინად იყო, როდესაც უბრალო საკითხის განხილვის საშუალებაც კი არ ყოფილა.

## ᲠᲐᲓᲘᲝ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

### ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲨᲔᲘᲓᲐ ᲫᲐᲚᲐᲨᲘ.

კონგრესმა ხელი მოაწერა ამერიკაში გადასახლებულთა გამოსახლების კანონს, რომელიც ძალაში შევა 1-ლ ივლისიდან. დადგენილია, რომ გადასახლებულთა საერთო რიცხვი ამერიკაში უნდა უდრიდეს 169.000 ყოველ წლიურად სამი წლის განმავლობაში და 150.000 შემდეგ წლებში. დადგენილია, რომ საბჭოთა კავშირიდან დაშვებულ იქნას 2.000 გადასახლებული, 21.000 მაგიერად.

### ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ ᲛᲘᲚᲘᲢᲐᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲜᲘᲐᲨᲘ.

მილიტარიზმის წინააღმდეგ გამართულ მრავალ-რიცხოვან საპროტესტო მიტინგზე პოლიციამ დაამტკიცა კომუნისტის ხელისუფლება, რომელმაც აშკარად მოუწოდა სამხედრო სამსახურის. კომპარტიის ბელადმა ტეგერსენმა მოუწოდა ჯარისკაცთა საბჭოების მოწვევისაკენ. თავდაცვის მინისტრმა (სოციალ-დემოკრატი) უპასუხა, რომ ის არასგზით არ დაუშვებს საბჭოების დაარსებას და გაგზავნის ჯარებს მუშათა წინააღმდეგ, თუ საფრთხე გამოუჩნდება საზოგადოებრივ წესრიგს.

### ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲐ.

#### ᲨᲝᲠᲡ ᲩᲔᲜᲒᲐᲜ ᲨᲔᲛᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲚᲔᲑᲘ.

ნორვეგიის მთავრობამ წინადადებით მიმართა საერთოდ ყველა გაფიცულ მუშებს დაეწყოთ მუშაობა და მათ შორის გაფიცულ ლითონის მუშებს, რომელნიც გაფიცულნი არიან 6—7 თვეზე მეტი. იმის გამო, რომ ლითონის მუშების კავშირმა მიიღო მთავრობის წინადადება, ნორვეგიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს დადგენილებით კავშირის თავმჯდომარე ოლსენი ჩამოერთვა პარტიული მანდატი.

## ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲔ-13-ᲢᲔ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ.

### ᲐᲛᲮ. ᲩᲐᲞᲚᲘᲜᲘ (ᲐᲛ.-ᲙᲐᲕᲙᲐᲡ-ᲘᲓᲐᲜ)

ახალგაზრდა კომკავშირის სახელით გამოდის ამხ. ჩაპლინი, რომელიც სავსებით მხარს უჭერს ცეკას ხაზს და მიდის ტროცკის წინააღმდეგ, რომელმაც დაუპირისპირა ძველები ახალგაზრდობას.

ბოლოს გამოდიან ამხ. ამხ. იარო სლავსკი, კრუპსკაია და დროედინი.

ამხ. კრუპსკაია ამბობს: ,,მუშათა კლასმა ნდობის ხმა მისცა პარტიას ლენინის სახელობის გაწვევით. პარტიის წინაშე სდგას ახალი საპასუხისმგებლო ამოცანები.

დროა მოწყვეტილ იქნას ,,დისკუსია'', საჭიროა შეიქმნას ამ ამოცანების გადაჭრას''.

ყრილობა ადგენს შეწყვეტილ იქნას კამათი. მომხსენებლები საბოლოო სიტყვას იტყვიან 27 მაისის დილის სხდომაზე.

### ᲐᲛᲮ. ᲖᲘᲜᲝᲕᲘᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ.

(27 მაისის დილის სხდომა).

#### ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲡᲬᲝᲠᲝᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕ.

საბოლოო სიტყვაში ამხ. ზინოვიევი შეეხო იმ საკითხებს, რომლის შესახებაც მას არ ულაპარაკია ძირითადი მოხსენების დროს.

მან აღნიშნა ის სერიოზული გარემოება, რომ ბევრ სამეურნეო დარგში მომუშავეების სელექციის ფასების აწევას იმის მაგიერად, რომ წვრილ საწარმოო ძალების განვითარების და მრეწველობის გაფართოების გზით.

აღნიშნა აგრეთვე კომუნისტებით გაძღოლის საქმიანობა არა მარტო უმუშევრებისა, არამედ წვრილ ვაჭრობის რიგებისაც. შემდეგ ის შეეხო ,,ფრაქციული დაჯგუფების" იქეთ, რომ საჭიროა მონაწილეობა მიიღონ ქალებმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამხ. ზინოვიევი ეხება შრომის ხელფასსა და უმუშევრობის საკითხს და გამოსთქვამს აზრს რომ საჭიროა შეიქმნას მუშაობა სათანადო ორგანოების მხრივ ამ საკითხების მოსაგვარებლად.

ნაციონალურ საკითხში — ამბობს მომხსენებელი — ჩვენ დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ. მაგრამ საჭიროა უზრუნველყოთ ნაციონალურ უმცირესობათა უფლებები სსრკ-ს ყველა ნაწილებში.

რაც შეეხება სამეურნეო დარგში მოღვაწეებს, ჩვენ არ უნდა ვეცადოთ მათ მეორე ხარისხის კომუნისტებად, ვინაიდან ისინი პარტიის სრულუფლებიანი წევრები არიან. მაგრამ ჩვენ უნდა მივითითოთ მათ განსაკუთრებით ძნელ მდგომარეობაზე, და გავაფრთხილოთ, რომ არიან კრისტოფერსკი...

#### ᲠᲙᲞ-Ს ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲐ

ამხ. ზინოვიევი გადადის დისკუსიის საკითხზე და აღნიშნავს მტრების სიხარულს, რომლებიც მრავალ ტომის წიგნებს სწერენ იმის შესახებ, რომ დადგა პროლეტარიატის დიქტატურის კრიზისი და სხვა.

რაც შეეხება ამხ. ტროცკის განცხადებას რომ პარტია არას დროს არ სცდება, — ამბობს ამხ. ზინოვიევი — ჩვენ მივიღოთ ლენინის სიტყვები: ,,ჩვენ თუ შეცდომებს ჩავიდენთ, წყ ალით უნდა გავცემთ, სხვაფერ ჩვენ დავიღუპებით." ცეკა მოითხოვს ოპოზიციიდან, რათა განცხადოს მან: როგორ დაიჭირა თავის ის ყრილობის შემდეგ. მაგრამ ამის პასუხი ჯერ არ ყოფილა.

ამხანაგებმა ვერავითარი ჯგუფი ვერ შესძლეს ჩვენი პარტიის გათიშვა, ვინაიდან მსოფლიოში არავის შეუძლია განხეთქილება ჩამოაგდოს რკპ-ში.

### ᲐᲛᲮ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ.

#### ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲮᲐᲖᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲨᲔᲛᲪᲓᲐᲠᲘᲐ.

დილის სხდომაზე ამხ. სტალინმა აღნიშნა, რომ ყრილობა, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციული ანგარიშის შეღებვის, ვინაიდან საწინააღმდეგო აზრი არავის გამოუთქვამს.

ამხ. სტალინი შეეხო ამხ. ამხ. ტროცკის და პრეობრაჟენსკის გამოსვლას და აღნიშნა, რომ პოზიციის მიუთითებს 5 დეკემბრის რეზოლიუციებზე, მაგრამ ამხ. ტროცკის ავიწყდება, რომ ამ რეზოლიუციაში არ წამოჭრილა საკითხები კადრების გარდაქმნაზე, პარტიის აპარატის წინააღმდეგ შეტევის საჭიროებაზე და სხვ. არც ერთი საკითხში ოპოზიცია მართალი არ გამოდგა.

პარტიულ აპარატის საკითხში ოპოზიცია არ არის მართალი და დღეს სთმობს პოზიციას ამ საკითხში. რაც შეეხება დაჯგუფების საკითხს, ამხ. ტროცკი დღეს წინააღმდეგია დაჯგუფებისა. მაგრამ რკპ-ს ცეკას ქვეკომისიაში, 5 დეკემბრის რეზოლიუციის გამომუშავების დროს მოითხოვდა ოპოზიციისათვის თავისუფლებას. დღევანდელი ოპოზიციის განცხადება დაჯგუფების წინააღმდეგ ეს არის უკან დახევა უწესრიგოდ.

არ არის მართალი ამხ. ტროცკის განცხადება იმის შესახებ, რომ პარტია არ სცდება. ჩვენ ლენინის გვეუბნება: ,,ვისწავლოთ პარტიის შეცდომებზე".

ოპოზიცია უნდა შეკითხებოდა თავს: როგორ აფასებს პარტიას მუშათა კლასი? ამის პასუხია 200.000 სატყუარო წევრის გაგზავნა პარტიაში. ლენინის გაწვევა საფუძველია ჩვენი პარტიის ნამდვილი დემოკრატიულობისა. ბოლოს ამხ. სტალინი ამახილებს ბრძოლებს ოპოზიციის წვრილ ბურჟუაზიული ხასიათის გადახვევაში, ვინაიდან ოპოზიციამ თავისი შეტყუარეობა ეპიტეტით დემოკრატიისათვის, თავისი სურვილით წინააღმდეგ, ხელი შეუწყო განგაში ბურჟუაზიულ ბანაკში.

### ᲐᲛᲮ. ᲙᲣᲘᲑᲘᲨᲔᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ.

#### ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ Ც. Ს. Კ.

ცენტრალური საკონტროლო კომისიის მოხსენების შესახებ ამხ. კუიბიშევი აღნიშნავს, რომ ც. ს. კ. ყოველთვის მხარს უჭერდა ცეკას პარტიის მთლიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში და მის მიერ აღებულ მოლშევიკურ ხაზის გატარებაში. შეეხო რა ც. ს. კ. მოქმედებას სამეურნეო კრიზისებთა და მდგომარეობის გამოკვლევისას ხანსაკუთრებით, კუიბიშევმა აღნიშნა, რომ ლენინის გაწვევის ჩატარების დროს ც. ს. კ. საშუალება მიეცა დაუახლოვდეს ფართო მუშათა და პარტიულ მასებს.

#### ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲛᲔᲜᲓᲐ.

ლენინის გაწვევასთან ერთად საჭირო შეიქნა პარტიის გაწმენდა ზედმეტი ელემენტებისაგან. ცდების სახით დაიწყო მოსკოვის, ლენინგრადის და პენზის ორგანიზაციების პროლეტარული უჯრედების გადასინჯვა. ამის შემდეგ გადასინჯვით მიღებულ შედეგების მიხედვით წმენდა გაგრძელდება სხვა ორგანიზაციებშიც.

გადამოწმებით კომისიები განსაკუთრებით მუშებისა და ოქტომბრის სტაჟის პარტიის წევრებისაგან შედგება.

#### ᲡᲐᲙᲐᲢᲔᲠᲦᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ.

პარტიის მე-12-ტე ყრილობამ დაადგინა, რომ ახალი დებულება ც. ს. კ. მ. გ. ი. შესახებ გავრცელდეს ცენტრალურ დაწესებულებებზე. ეხლა ეს დებულება შეიძლება გავრცელდეს ადგილობრივ დაწესებულებებზედაც, რადგან საკონტროლო კომისიების ახალი შემადგენლობა თითქმის წმინდა მუშურია.

## ᲠᲔᲖᲝᲚᲘᲣᲪᲘᲐ.

### ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲙᲐᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ამხ. ამხ. სტალინისა და ზინოვიევის საბოლოო სიტყვების შემდეგ ამხ. ზინოვიევმა მთელი დელეგაციების სახელით შემოიტანა რეზოლიუცია ცეკას მოხსენებათა შესახებ. დელეგატები ფეხზე ადგომით და ,,ინტერნაციონალის" სიმღერით შეხვდნენ.

#### ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ.

მე-13 ყრილობა სავსებით იწონებს ცეკას სწორ პოლიტიკურ ხაზს და ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას, რომელმაც უზრუნველყო სერიოზული მიღწევები მუშაობის ყველა დარგში რთულ და მძიმე გარემოებაში.

ყრილობა ეთანხმება აღნიშნავს ცეკას მუშაობის სისწორეს გასულ საანგარიშო პერიოდში, რომელიც იყო ცეკას მუშაობის პირველი წელი, რომლის განმავლობაში პარტია მოკლებული იყო ლენინის პირდაპირ ხელმძღვანელობას.

ყრილობა სავსებით ამტკიცებს მე-13-ე საკავშირო პარტკონფერენციის რეზოლიუციებს პარტდემოკრატიის შესახებ, დისკუსიის შედეგის და წვრილ ბურჟუაზიულ გადახვევის შესახებ და ადგენს შეურთონ ეს რეზოლიუციები მე-13-ე ყრილობის დადგენილებებთან. ყრილობა სავსებით იწონებს ცეკას სიმტკიცეს, ბოლშევიკურ შეურიგებლობას, რომელიც გამოიჩინა მან დისკუსიაში ლენინიზმის საფუძვლების დაცვის დროს წვრილ ბურჟუაზიულ ხასიათის გადახვევის წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უდიერ სიტყვებს და ლანძღვა გინებას ბოლო უნდა მოეღოს წითელ ჯარში.

## ცალკე საკავშირო ასეულში.

25 მაისს შესდგა კომუჯრედის ღია კრება. კრებას წევრების გარდა დაესწრენ აგრეთვე უპარტიო წითელ არმიელები, უფშემადგენლობა და მომაგრებული ამხანაგები.

**გასარჩევი საკითხები:**

1. ძველი ოქმის დამტკიცება. 2. კვირეული. ინფორმაციული მოხსენება, 3. საფრანგეთის დიდი რევოლიუციის 135 წლის თავის აღნიშვნა და 4. მიმდინარე საკითხები.

ძველი ოქმი დამტკიცებულ იქნა.

ინფორმაციული მოხსენება გააკეთა ამხ. ლეშქაშელმა. მან მოკლე მიმოხილვა გააკეთა დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობაზე შეეხო გერმანიის, საფრანგეთის პოლიტიკურ მდგომარეობას და საბჭოთა კავშირის წარმატებებს. აგრეთვე აღნიშნა აღმოსავლეთის დაჩაგრულების მეგობრული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი.

შეკითხვებზე დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა მომხსენებელმა. საფრანგეთის დიდ რევოლიუციის 135 წლის თავის შესახებ, ილაპარაკა ამხ. საპანაძემ, რომელმაც აღნიშნა მისი წარმომშობი მიზეზები და შედეგები. შეეხო კონვენტს, კონსტიტუციას და მაშინდელ პარტიების ბრძოლას, როგორიც იყვნენ იაკობინელები, ჟირონდისტები (ბურჟუაზიული პარტია) და არისტოკრატია. შემდეგ საფრანგეთი მივიდა ჯერ ნაპოლეონ ბონაპარტემდის, შემდეგ სედანის და კომუნის გამოცხადებამდე.

მოხსენებამ მეტად დააინტერესა დამსწრენი, იყო მრავალი შეკითხვები, ბოლოს გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია საფრანგეთის დიდი რევოლიუციის მნიშვნელობა სხვა შემდეგ მომხდარ რევოლიუციებში.

### შორს უდიერი სიტყვები.

ბოლოს მიმდინარე საკითხებში, ამხ. ხოჯაძე, შეეხო ერთ დაუშვებელ მოვლენას ნაწილის ცხოვრებაში. მან აღნიშნა ნაწილის ზოგიერთ ამხანაგების საქციელი, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ დაუვიწყნიათ ძველი დროის ყაზარმის ჩვეულება და უდიერი სიტყვების ხმარება, რომელსაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს წითელი ჯარის რიგებშიო.

ამ საკითხს კრება მეტად ყურადღებით მოეპყრო და ერთხმად დაჰგმო ეს შეუფერებელი და სამარცხვინო მოვლენა. კრებამ ასეთი მოვლენების წინააღმდეგ საბრძოლველად აირჩია სამი კაცისგან შემდგარი კომისია, რომელშიდაც შედიან ორი წ. არმიელი და ერთიც უფ. შემადგენლობის წარმომადგენელი რის შემდეგ კრება დაიხურა.

ს.

---

**გაუმარჯოს მუშების და გლეხების წითელ ჯარს.**

---

# სამილიციო აგიტ-კომპანიის ჩატარება.

სამობილიზაციო კომპანია თბილისის მაზრის მესამე რაიონში სასურველად მიმდინარეობს.

კომპანიის ჩატარებაში კომისიას დიდ დახმარებას უწევს ქართული პირველი ლეგიონი, რომელმაც თავისი წარმომადგენელიც დანიშნა კომისიაში და სოფლებში მუშაობის ჩქარი გატარების მიზნით კომისიის განკარგულებაში გადასცა თვისი ცხენები.

**სოფელ-თელეთის ახალგაზრდობა მოდის ჩვენს რიგებში.**

25 მაისს ხსენებული კომისია დილის 10 საათზე გაემგზავრა სოფელ თელეთში სამობილიზაციო აგიტკომპანიის ჩასატარებლად. 3 საათზე მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი ადგილობრივად.

სოფელი თელეთი თუმცა კულტურულად ჩამორჩენილია, მაგრამ სარწმუნოებისადმი გულ-გრილად არიან განწყობილი.

სოფელში აქვთ კლუბი, რომელიც ლამაზად არის მოწყობილი, აგრეთვე არსებობს სამკითხველო და სკოლა, რომლებშიდაც სისტემატიურად სწარმოებს პოლიტიკური და კულტურული მუშაობა.

სოფელი ღარიბია, ამას განსაკუთრებით ხელს უწყობს მწირი ნიადაგი. ამიტომ ადგილობრივ მცხოვრებლებს ქალაქიდან უხდებათ წლიური სარჩოს შეძენა. მცხოვრებლებმა გვთხოვეს რათა გამოგვექვეყნებია მათი უნუგეშო მდგომარეობა გაზეთებში, და მუშების და გლეხების ინტერესების დამცველმა მთავრობამ მოგვაქციოს ყურადღება.

ჩვენ აღუთქვით დახმარება.

### მიტინგი.

მიტინგი გაიხსნა 3 საათზე, რომელსაც მოკლე და შინაარსიანი სიტყვით მიესალმა ამხ. ცომაია, შემდეგ პირველ ლეგიონის სახელით, ესალმება ამხ. ნუცუბიძე და საზოდოებას გაუშუქა საერთაშორისო მდგომარეობა.

მან აღნიშნა ჩვენი, სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ეკონომიური მდგომარეობის წარმატება და კომუნისტურ პარტიის სიმძლავრე ყველა ქვეყნებში.

ბოლოს, პირველ ლეგიონის სახელით, თელეთის გლეხობას მოუწოდა თავისი წვლილი შეიტანონ საბჭოთა ხელისუფლების დაცვისა და განვითარების საქმეში. ამხ. სიტყვა მქუხარე ტაშით იფარება. ახალწვეულთა შესახებ, მოხსენებას აკეთებს მესამე რაიონის რწმუნებული ამხ. ვ. სიხარულიძე ის ეხება წითელი ჯარის სამხედრო კულტ-პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელობას და მოუწოდებს, რომ ყველა ახალგაზრდა როგორც ერთი დაიძრან საბჭოთა ხელისუფლების და დიად ოქტომბრის რევოლიუციის საგუშაგოებისაკენ, და ძვირფასი წითელი დროშა მარად მაღლა ეპყროთ რათა განამტკიცონ შრომის სუფევა. ისმის დაუსრულებელი ტაში და ძახილი: გაუმარჯოს წითელ ლაშქარს, გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციას! ძირს მსოფლიო იმპერიალიზმი!

გაუმარჯოს წითელ ყაზარმას!

### ძველი არმიელებიც მუშაობენ.

მიტინგზე გამოვიდენ აგრეთვე ამავე სოფლის მცხოვრებნი 1 და 3 ლეგიონის ყოფილი მოლაშქრენი, რომლებმაც გადაუშალეს საზოგადოებას წითელ ყაზარმაში მათ მიერ გატარებული ცხოვრება და განაცხადეს, რომ წითელმა ყაზარმამ თვალები აგვიხილა და საკუთარი თავი დაგვანახო. ამიტომ ისინი ენერგიულად მოუწოდებდენ ახალგაზრდობას წითელი ყაზარმისაკენ.

ყოფილ მოლაშქრეთა გამოსვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე და განსაკუთრებით ახალწვეულებზე.

ილაპარაკეს აგრეთვე სამმა გლეხმა, რომელთა სიტყვებში გამოსჭვიოდა პატრონსანი მშრომელის ფიცი საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

ბოლოს, რამოდენიმე გლეხის თხოვნით, ამხ. სიხარულიძემ განუმარტა კომუნისტების შეხედულება ქალებზე და მათი მამაკაცებთან უფლებით გათანასწორებაზე, რაზედაც გლეხობას წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ.

ბოლო სიტყვებით მიტინგს მიმართა ამხ. ცომაიამ, რის შემდეგ ზეიმით გამოგვისტუმრეს.

გვთხოვეს ხშირად ასეთი მიტინგებისა და საუბრების გამართვა.

ს ა ნ ი.

---

**შევასრულოთ ჩვენი ბელადის და მასწავლებლის ამხ. ლენინის ანდერძი, მტკიცედ ვიდგეთ რევოლიუციის სადარაჯოზე.**

---

**ყველა ჯარში გასაწვევ 1902 წ. დაბადებულნი ახალგაზრდები— წითელ ჯარის რიგებში.**

---

**სუყველაფერი—საბჭოთა კავშირის დასაცავად.**

---

# კომპლექსიური მეთოდით სწავლება ჯარში.

დღეს ყველასათვის ცხადია თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჯარში კულტურულ მუშაობას, რომლის საფუძვლად უნდა ჩაითვალოს წერა-კითხვის ცოდნა; სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მთავარ საფუძველს მოკლებული იქნება ახალ წვეულ წითელ არმიელთა 10-პროც. მაინც. ამისათვის აუცილებელი საჭიროა წინასწარ შემუშავებული გეგმით ვაწარმოოთ მათთან ამ დარგში მუშაობა ცოტა დროს დახარჯვით და მეტის ნაყოფიერებით; ეს კი დამოკიდებულია ჯარში მომუშავე მასწავლებლის უნარიანობაზე, მის პედაგოგიურ და მეთოდიურ ცოდნაზე.

როცა ჩვენ წერა-კითხვის შესახებ ვლაპარაკობთ მხედველობაში გვაქვს არა მარტო წერა-კითხვის კარგად შესწავლა არამედ სხვა დარგიდანაც მაგ. არითმეტიკიდან, გეოგრაფიიდან, ბუნების-მეტყველებიდან და სხვა საგნებიდან ელემენტარული ცოდნის შეძენა. ამასვე გულისხმობს პოლიტ განყოფილების სასკოლო პროგრამაც.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ყველა მოხსენებულ საგნებიდან ელემენტარული ცოდნის შეძენას რამოდენიმე წელს უნდებიან შრომის სკოლებში, ჯარში კი ამ მიზნისათვის დრო განისაზღვრება მხოლოდ 2-3 თვით; ამისათვის აუცილებელი ხდება ისეთი პედაგოგიური ხერხი, ისეთი მეთოდი, რომლის საშუალებითაც შეიძლება ამ მოკლე ხნის განმავლობაში დასახული სასკოლო პროგრამის განხორციელება; ასეთ მეთოდათ კი უდავოთ უნდა ჩაითვალოს კომპლექსიური მეთოდი, რომელიც გულისხმობს ერთსა და იმავე დროს რამოდენიმე საგნის ერთად შესწავლას. ეს მეთოდი ჩვენს პედაგოგიურ ცხოვრებაში ახალ მოვლენა, რადგანაც უკანასკნელ წლამდე მისი პრაქტიკულად განხორციელება არავის უცდია. არ ვიცით ეს მეთოდი როგორ ნაყოფს გამოიღებს ან რამდენათ მიზანშეწონილი იქნება ამ მეთოდით საგნების სწავლება შრომის სკოლებსა და ტეხნიკუმებში, მაგრამ კომპლექსიური მეთოდის შემოღება, რომ მეტად სასარგებლოა წერა-კითხვის ლიკვიდაციის სკოლებში, ეს კი ჩვენთვის ცხადია.

ამ მეთოდით სწავლების ცდა შარშან კიდევაც იყო წითელ არმიელებთან მეცადინეობის დროს; მიცემულ იქნა 3—4 გაკვეთილი და მოსმენილი რამოდენიმე ლექციები, მაგრამ ჯერ ბევრი ჯარში მომუშავე მასწავლებელთათვის არ არის ნათელი კომპლექსიური მეთოდის შინაარსი და ამ მეთოდით სწავლების წესი, ამიტომ ჯარში მომუშავე მასწავლებელთა უკანასკნელმა კონფერენციამ დაადგინა, რაც შეიძლება მეტი დაიწეროს და ითქვას კომპლექსიური მეთოდის შესახებ, რომ თვითეული მასწავლებელი ჩასწვდეს ამ მეთოდის შინაარსს და ცოტათ თუ ბევრათ შესძლოს მისი საშუალებით სწავლება. ამ მიზნით ვათავსებთ ჩვენ ამ მასალას, და თუ ის სადისკუსიო ხასიათს მაინც მიიღებს, თემა გამართლებული იქნება.

უპირველესად ყოვლისა უნდა ითქვას, რომ კომპლექსიური მეთოდის სწავლების დროსაც საჭიროა სახელმძღვანელო, შედგენილი ამ მეთოდის პრინციპზე. მაგრამ ჯერ-ჯერობით ჩვენ ასეთი სახელმძღვანელო არ გაქვს, და ამისათვის იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ არსებული სახელმძღვანელოებით, რომელთა შორის შედარებით მისაღებია სახელმძღვანელო **„სინათლისაკენ“** ანბანის წიგნი მოზრდილთათვის, გამოცემა პოლიტ-განყოფილების მთავარ მმართველობის, და რადგანაც ჯარში ამ სახელმძღვანელოთაა განზრახული წერა-კითხვის სწავლება, ამისათვის სანიმუშოთ ჩვენ იქიდან ვიღებთ მასალას **„შრომისაკენ“** (გვ. 27).

(გაგრძელება იქნება).

მასწავლებელი.

---

# საბანაკოდ გასვლა და მუშაობა სოფლად.

სულ მოკლე ხანში, ჩვენი დივიზიის ნაწილები გავლენ საბანაკოდ. სხვა დანიშნულებათა შორის, საბანაკოდ გასვლას აქვს ერთი ფრიად დიდი მნიშვნელობა, რომელსაც უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. მე ვლაპარაკობ სოფლის გლეხობასა და წითელ არმიელთა ნაწილებ შორის ცოცხალ კავშირზე. თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ კავშირს, ამაზედ არ არის საჭირო შეჩერება, რადგან ეს ყველამ ძალიან კარგად იცის. მინდა ავღნიშნო რომ ამ კავშირს აქამდე უშლიდა ხელს ბევრი გარემოებანი, მათ შორის უმთავრესად სიშორე სოფელთან. დღეს ჩვენ გვეძლევა საშუალება ეს დაბრკოლება თავიდან ავიცილოთ, რადგანაც საბანაკოდ გასვლის შემდეგ ძალიან ახლოს ვიქნებით სოფლებთან. მართალია, წითელი არმიის ცხოვრებაზედ, მის დანიშნულებაზედ და იქ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის წარმოებაზე, აქამდისაც ბევრი გაუგონია ჩვენს გლეხს, მაგრამ გაუგონია მხოლოდ. გაგონება ერთია და თვალით ნახვა და შემოწმება კიდევ მეორე.

საბანაკოდ გასულმა ნაწილებმა ეს პრაქტიკულად უნდა დაანახონ მშრომელ გლეხობას და თავისი მუშაობა კულტურულ ფრონტზედ მჭიდროთ დაუკავშირონ მათ.

უპირველესად ყოვლისა ეს კავშირი უნდა გაებას სამხედრო პარტორგანიზაციებსა და სოფლის ორგანიზაციებს შორის, უნდა ხდებოდეს პერიოდულად გაერთიანებული სხდომები სადაც უნდა აკეთებდნენ მოხსენებებს წითელ არმიაზედ ერთის მხრით, და სოფლის ცხოვრებაზედ თვით ადგილობრივი ძალები.

ასეთი კავშირი შესაძლებლობას მისცემს მათ, უფრო კარგად გაეცნონ ერთი მეორეს ყოფა-ცხოვრებას. უნდა მეტის ენერგიით აამოქმედონ კლუბები და უმთავრეს ამოცანად გაიხადონ ბრძოლა იდეური ანტი-რელიგიურ სიბნელესთან გლე-

ხთა შორის. რაც შეიძლება მეტი ზომები. უნდა მივიღოთ ზომები ბეჭვდითი ნაწარმოების გასავრცელებლად სოფლად, ერთი სიტყვით ეს საბანაკო დრო უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ ნათელი და საღი წარმოდგენა ჰქონდეს სოფლის გლეხობას წითელ ლაშქარზედ. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საბანაკოდ გასვლას კავკასიის წითელ დროშოვან არმიის ნაწილებისათვის, რომლებსაც მშრომელ გლეხობასთან დაკავშირების საშუალებით, შეუძლიათ პრაქტიკულად გადასჭრან ნაციონალური საკითხი. ისინი უნდა დაუახლოვდნენ სოფლის მშრომელებს და აგრძნობინონ, რომ წინააღმდეგ ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციონურ პროვოკაციისა მათ შესახებ, მათი მიზანი, აქ ამიერ კავკასიის სინამდვილეში არის მშრომელთა ინტერესების დაცვა-განმტკიცება შინაურ და გარეულ მტერთაგან და ძმური კავშირის და სოლიდარული გრძნობის გაბმა მშრომელთა შორის. ერთი სიტყვით აქ საბანაკოდ გასვლას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია და სამხედრო ნაწილებში მომუშავე ამხანაგებმა, ეს მომენტი შესაფერისათ უნდა გამოიყენონ.

**დ. ხიხაძე.**

# მეტი ყურადღება წითელ-არმიელის ყოფა-ცხოვრებისადმი.

უკვე დაიწყო ახლად წვეულების მიღება წ. არმიის რიგებში, რომლებსაც ჯარში დარჩენის განსაზღვრული დრო აქვთ. ჩვენ კარგათ ვიცით ჩვენი გლეხის კულტურული დონე, მათში უსაოუოდ 30 პროც. უსწავლელები იქნება, ამას გარდა არც დანარჩენი გაშორებია სოფლის ცხოვრებას და მის ზნე-ჩვეულებას.

ყველაფრის ერთბაშათ გაკეთება შეუძლებელია, მაგრამ მუშაობის შედგომისას არ უნდა გამოგვრჩეს არც ერთი უბრალო კითხვა, რომელიც შეეხება წ. მოლაშქრის ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებას და მის ზნეობრივ აღზრდას. როგორც ვიცით, ჩვენი რესპუბლიკა მრავალ ფეროვანია თავის ზნე-ჩვეულების მიხედვით. მაგალითად, კახელი გლეხი განსხვავდება გურულისგან, ქართლელის, იმერეთ-სამეგრელოს და ასე ამ რიგათ.

მი მინდა უფ და პოლიტ-შემადგენლობის ყურადღება მივიპყრო რამოდენიმე საკითხზედ, რომელიც შეეხება წ. მოლაშქრის ზნეობრივად აღზრდის საქმეს. ეს მოვლენები მე შემჩნეული მაქვს ნაწილების ცხოვრებაში.

ეს არის, ერთი ის, რომ წ. არმიელთა შორის ხდება უპატივცემლო მოპყრობა და ამ ნიადაგზედ ლანძღვა გინება სხვა და სხვა სახით. ხშირად მოყვება ხელით შეხება წ. არმიელთა შორის. რის შემდეგ დამნაშავეები ისჯებიან ადმინისტრაციული წესით უფროსის მიერ. ამ არა სასიამოვნო მოვლენას უსათუოდ უნდა მოეღოს ბოლო.

ჩვენი მოვალეობაა, რომ წ. არმიელი, რომელმაც მიიღო წ. მეომრის სახელ-წოდება და კისრულობს საბჭოთა ხელისუფლების დაცვას და ამასთანავე ··ან კარგათ იცის თუ ვის ინტერესებს იცავს ეს ხელისუფლება, მან უნდა იცოდეს წ. თელ არმიელის ღირსების, მისი პიროვნების პატივის ცემა—შევათვისებინოთ თავაზიანობა, კეთილი განწყობილება წ. არმიელთა შორის, უნდა კარგათ იცოდეს თუ რა არის ადამიანი და რა არის პიროვნება, რით უნდა გამოიხატოს მისადმი პატივის ცემა. თუ ამ საგანს კარგათ გაურკვევთ და აუხსნით წ. მოლაშქრეებს, ჩვენ ამით დიდ სარგებლობას მოუტანთ მის ზნეობრივ დონეს ამაღლების საქმეს. ეს წერილი არ ეკუთვნის მარტო პოლიტ და უფ-შემადგენლობას, ამ საქმეში უნდა დაგვეხმაროს ყველა შეგნებული წ. მოლაშქრე, რომლებიც დღესაც მსახურობენ და შემდეგშიც მოგვემატებიან ახლით წვეულთა რიგებიდგან. საერთო ძალით მოვსპობთ ყველა უარყოფით მხარეებს, რომელსაც კი ადგილი ექნება ჩვენს ჯარში, ვეცადოთ ამ თავიდან იქნეს ზომები მიღებული და როდესაც ახლად წვეულები მოვლენ ნაწილებში იმათ იგრძნონ წითელ ყაზარმების დადებითი, კულტურული და ზნეობრივი გავლენა.

**ს. ლ.**

# ახალი ამბები.

— **აგარაკებზე ავტომობილებით მიმოსვლა.** აგარაკებზე: ბორჯომში, ახალციხე-აბასტუმანში და ტფილისიდან კოჯორ-მანგლისში ავტომობილებით მიმოსვლა დაიწყება 1-ლ ივლისიდან.

— **კვირეული გორის აღსადგენათ.** 2 ივნისიდან მთელ საქართველოში ჩატარებულ იქნება კვირეული გორის აღმდგენ კომიტეტის საშუალებების გასაძლიერებლათ. კვირეულის ჩატარება გამოიხატება ყულაბებით ფულის მოგროვებაში და საღამო-წარმოდგენების გამართვაში.

— **სავეტერინარიო კურსები.** ქალ. აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებამ განიზრახა თფილისში გახსნას სავეტერინარიო საქმის შესასწავლათ სპეციალური კურსები.

— **პირუტყვების დაცვა.** ქალ. აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებამ გადასწყვიტა გამოსცეს სავალდებულო დადგენილება პირუტყვებისადმი კაცთმოყვარული მოპყრობის შესახებ.

— **ნიკო მარის ჩამოსვლა.** დღეს ლენინგრადიდან ბაქოში ჩამოვა ცნობილი მეცნიერი ნიკო მარი, რომელიც შემდეგ გაემგზავრება აფხაზეთში. მარი გავლისას შეჩერდება თფილისში.

— **კულტ-მზრუნველობა.** თამბაქოს ქარხანა „პროლეტარი"-ს ადგილკომმა მიიღო კულტ-მზრუნველობა მე 81-ე შრომის სკოლაზე, სადაც სწავლობს 400 მეტი ღარიბესი ბავში.

— **დიდი ტანთსავარჯიშო მოედანი.** ფიზიკური კულტურის უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა თფილისში მოაწყოს დიდი ტანთ სავარჯიშო მოედანი, სადაც დიდი დღესასწაულების დროს გაიმართება ტანთვარჯიშობა.

— **ბაღის განათება.** ქალ. აღმასკომის კომუნალური განყოფილება შეუდგა მუშაობას ალექსანდროვის ბაღის ელექტრონით განათლებლათ, რის შემდეგაც იქ სეირნობა შეიძლება ღამის 12 საათამდე.

— **ბრძოლა ციებ-ცხელებასთან.** საქ. ექიმთა ყრილობამ მიიღო დადგენილება საქართველოში გავრცელებულ ციებ-ცხელებასთან ბრძოლის შესახებ. ამ მიზნისათვის საჭირო იქნება 10 000 კილო ქინა.

— **ფართლეულობის მოწოდება გლეხებისათვის.** წარმოკავშირმა სოფლის გლეხობას 1924 წლის განმავლობაში მიაწოდა 940.000 მან. ღირებული ტანისამოსი.

— **ფასიანი საწოლები საავადმყოფოებში.** ჯანმრთელობის კომისარიატმა საჭიროდ სცნო საავადმყოფოებთან შემოიღოს ფასიანი საწოლები. ამისათვის საავადმყოფოებმა უნდა შეიმუშაონ ნიხრი და წარმოადგინონ სამკურნალო განყოფილებაში.

— **ჰაეროპლანებით მიმოსვლა რაჭაში.** აგარაკ შოვში ეწყობა აეროდრომი ა. კ. საავიაციო საზოგადოების მიერ, ჰაეროპლანებით მიმოსვლის გასამართავად.

— **შრომის ბირჟაზე.** 27 მაისს ბირჟამ სამუშაოზე გაგზავნა 87 უმუშევარი. ახლად ჩაეწერა 80.

— **შინა ვაჭრობის კომისარიატში.** შინა ვაჭრობის კომისარიატს ნება დართო ა. კ. სახკომსაბჭომ, იყოლიოს თავისი წარმომადგენლები იმ ორგანიზაციაში, რომელთაც კავშირი აქვს შინა ვაჭრობის საქმესთან.

# ხელოვნება.

— **საღამო წითელ - არმიელთა კლუბში.** კვირას, წითელ-არმიელთა ცენტრალურ კლუბში გაიმართება დიდი საღამო - წარმოდგენა მბეჭდავ მუშათა სასარგებლოთ.

— **სიმფონიური ორკესტრი მუშებისათვის.** პროფკავშირთა კულტ-განყოფილების მიერ მოწყობილ იქნება სიმფონიური ორკესტრი მუშათა კლუბებისა.

— **ქართველი პოეტები სომხურად.** ერევანში იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა წიგნი, სადაც დიდი იქნება ან ქართველი მწერლების და პოეტების ნაწარმოებნი სომხურ ენაზე.

# სამეურნეო განყოფილება.

## ძროხის წველა.

ძროხის წველა ფრთხილათ და ფაქიზად უნდა. წველის დროს ძროხას ძუძუში რძე არ უნდა დაუტოვოთ. ეს წველის გააუმჯობესებს. ძუძუდან გამოწველული რძის უკანასკნელი წვეთები უფრო ნოყიერი და სუფთაა, ვიდრე პირველი ნაწველი. ძროხის კარგათ გამოსაწველად მას ალერსით და მზრუნველობით უნდა მოვეპყრათ.

ერთ კაცს არ უნდა მივანდოთ ბევრი საქონლის მოწველა. ის დაიღლება და ძროხებს კარგათ ვერ გამოწველის.

წველის დაწყებამდე უნდა მოვიმარაგოთ სუფთა რძის ჭურჭელი, ხელები კარგათ დავიბანოთ და ძროხასაც ძუძუ უნდა მოვბანოთ ნელთბილი წყლით.

მოწველა ხელით უნდა. ზოგი ძროხა ცუდი მოსაწველია. ავია და კუდის ქნევით ხელს უშლის მწველელს. ასეთ ძროხას კიდი მაღლა უნდა მივაკრათ და თვით ძროხა თოკით უნდა დავაბათ. გამონაწველ რძის პირველ წვეთებში ბევრი მავნე ბაქტერიებია, ამიტომ ის უნდა გადავღვაროთ. ყოველი ძროხა ერთნაირ ხარისხის და სინოყივრის. ავადმყოფი ძროხა ცუდ რძეს იძლევა რძეს არ იძლევა. ასეთი რძიდან ავათმყოფობა შეიძლება ადამიანზედაც გადავიდეს. ამიტომ თუ მეწველი საქონელი ავათაა მისი რძე სასმელათ არ უნდა იხმაროთ. უკიდურეს შემთხვევაში უნდა ვიხმაროთ კარგათ რამოდენიმეჯერ გადადუღებული.

როგორ უნდა მოუაროთ ახალ მოწველილ რძეს?

ახალ მოწველილი რძე თბილია. წველის დროს და შემდეგ ჰაერიდან შიგ სცვივა თვალთ უჩინარი ბაქტერიები, რომლებიც მას აფუჭებენ.

ამათი ზეგავლენით რძე აიჭრება. ამიტომ ახალ მოწველილი რძე უნდა შევიტანოთ სუფთა ოთახში, გავწუროთ და შევდგეთ მისგან ყველის ან კარაქის გაკეთებას. თუ რძის შენახვაა საჭირო, მაშინ ის უნდა გავაცივოთ და სუფთა ჭურჭელში გრილ კუთხეში უნდა ვიქონიოთ.

თუ კი შესანახი რძე ცოტაა აუცილებლად გადადუღებული უნდა შევინახოთ.

**რძის გადატანა.** რძის მანძილზე გადატანა ფრთხილათ და სუფთა ჭურჭელში უნდა. გადასატანი რძე უნდა გავაგრილოთ და ვეცადოთ გზაში არ გათბეს.

გამთბარი რძე მალე ფუჭდება. გადატანა უნდა კარგათ თავდახურულ რძით სავსე ჭურჭელში.

გზაში ჭურჭლები არ იმჯღვრეოდეს, თორემ რძე გათბება და აიჭრება.

**მეურნე.**

# მეცნიერება და ტექნიკა

## ულრმესი მაღაროები.

დედა მიწის სიღრმე ჯერ-ჯერობით ნაკლებად არის შესწავლილი. ადამიანმა მხოლოდ მიწის ზედაპირი შეისწავლა და მის სიღრმესაც ჩასცილდა იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას იძლეოდა ულრმესი მაღაროების პირობები. ეს კი მეტად უმნიშვნელოა დედა მიწის ცენტრამდე მანძილთან შედარებით, რომლის რადიუსი აღწევს 6.400 კილომეტრამდე. ულრმესი მაღაროები გათხრილია ძვირფასი ლითონების ამოღების მიზნით. ერთ ამერიკულ ჟურნალის უკანასკნელ ნომერში მოყვანილია თანამედროვე მაღაროების სიღრმის შესახებ მეტად საინტერესო ცნობები. ყველაზე ულრმესი მაღარო არის ბრაზილიაში (სამხრეთ ამერიკა) საიდანაც იღებენ ოქროს. ამ მაღაროს სიღრმე აღწევს 2 ვერს ნახევრამდე. მეორე ღრმა მაღარო იმყოფება კიდევ ინდოეთში. აქაც ოქროს იღებენ.

ცნობილია, რომ მიწის სიღრმეში დიდი სიცხეა ამიტომ ღრმა მაღაროებში ტემპერატურა ძლიერ განსხვავდება დედა მიწის ზედაპირზე არსებულ ტემპერატურისაგან. ზემოდ აღნიშნულ ბრაზილიის მაღაროში, ტემპერატურა აღწევს 47 გრადუსამდე. ეს ისეთი ძლიერი სიცხეა, სადაც ადამიანს ძნელად შეუძლია გაჩერება და მით უმეტეს მუშაობა. მაგრამ აქ ხელოვნურად გრილდება ჰაერი.

საინტერესო კიდევ ის არის, რომ მაღაროში ჩადენილი ჰაერი რომ არ გრილდებოდეს ხელოვნურად, ის იმ შეკუმშვის გამო, რომელსაც განიცდის მაღაროში კიდევ გახურდებოდა 20 გრადუსით. საქმე იმაშია, რომ მაღაროს ძირზე არსებულ ჩვეულებრივ ჰაერის დაწოლას კიდევ ემატება 2 ვერსიანი სვეტის დაწოლა. ამიტომ მაღაროში ჰაერი მეტად შემჭიდროებულია, ხოლო რაც უფრო შეკუმშულია ჰაერი, მით უფრო დიდია მისი ტემპერატურა. სხვათა შორის ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ დედა მიწის ზედაპირზე ყოველთვის უფრო თბილა ვიდრე მაღლა ჰაერში, რადგან ძირს უფრო სქელი ჰაერია ვიდრე ზევით. ღრმა მაღაროებში მუშაობა და იქიდან მოპოებულ ლითონების ამოტანა იმდენად გაძლიერებულია, რომ ადამიანი ველარ შესძლებს მიწის სიღრმეში უფრო ძირს წასვლას. რაც შეეხება მიწის სიღრმეების შესწავლის საქმეს რაშიაც დიდ დახმარებას უწევდა არსებული მაღაროები მეცნიერებს უფრო ქვევით ველარ გაგრძელდება. ამიტომ ამ შემთხვევაში გეოლოგიურ მეცნიერებს დიდ დახმარებას უწევს ამ საქმეში ვულკანიური და საერთოდ მიწის ძვრები.

**შეიხ.**


გაზეთ „წითელი არმიელის" რედაქციაში მიიღება ხელის მოწერა

**ყოველდღიურ სამხედრო გაზეთ**

**„კრასნაია ზვეზდა"-ზე**

სამხედრო ნაწილები და ორგანიზაციები, რომლებიც გამოიწერენ ერთი მისამართით 28 ც. გაზეთს სამი თვით (ან 15 ც. 6 თვით, 10 ც. 9 თვით) მიეცემათ უფასო დამატება: **მხატვრული კრებული—ალბომი „დიადი საფლავთან"** მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი.

**ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველ რიცხვებში.**

**გაზეთის ფასი:**

1 თვით—1 მანეთი, 3 თვით—2 მანეთი 75 კაპ., 6 თვით—5 მან. 25 კაპ., 9 თვით—7 მან. 75 კაპ., ერთი წლით—10 მ.


ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 800 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.